

თამარ ალანია

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	9
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	10
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	11
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	12
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	18

1999-2006 წლებში თამარ ალანია მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, პროკურორის თანამდებობაზე. 2006-2016 წლებში იგი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე. 2016 წელს სამწლიანი ვადით განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, ხოლო 2017 წლიდან უვადოდ დაინიშნა იმავე პოზიციაზე. 2013-2017 წლებში მოსამართლე თამარ ალანია იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ფაქტები: 2019 წლის 28 თებერვალს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, თამარ ალანიას თავმჯდომარეობით, სააპელაციო წესით განიხილა სამედიცინო დაწესებულების საჩივარი. პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი აღძრა პირმა იმ საფუძვლით, რომ სამედიცინო დაწესებულების ექიმმა თვალზე ოპერაცია წარუმატებლად ჩაუტარა. ის ითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სამედიცინო დაწესებულებას მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქმის მნიშვნელობა: გადაწყვეტილება ეხება სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხს.

გადაწყვეტილება:

- მხარე აპელირებდა, რომ მის მიმართ ჩატარებული მკურნალობა იყო უშედეგო, რის საფუძველზეც, ითხოვდა მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, **„უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას“.**

  სააპელაციო სასამართლომ ეს პოზიცია დაასაბუთა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით.[1]
- ამასთან, პაციენტისთვის არასრულყოფილად და გაუგებრად მიწოდებული ინფორმაცია მოსამართლეებმა მიიჩნიეს სამედიცინო დაწესებულებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლად. **„სასამართლო ვერ განიხილავს მოსარჩელის ნებას, როგორც „ინფორმირებული თანხმობის“ ლეგიტიმურობის მაჩვენებელს, მით უფრო ისეთ პირობებში, როდესაც იგი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით „ინფორმირებული თანხმობის“ ლეგიტიმურად**

[1] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-260-244-11; ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის, „ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, ექიმის პასუხისმგებლობას არ იწვევს“.**

მიჩნევისთვის სავალდებულო კრიტერიუმებს, როგორიცაა: მკაფიოდ გამოხატული, გაცნობიერებული, ნებაყოფლობითი და ინფორმირებული“.[2]

- გადაწყვეტილების დასაბუთებისას, სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის,[3] მტკიცებულებათა შეფასებისა[4] და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხებზე მსჯელობისას, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს.[5]
- პაციენტის უფლების დარღვევის საკითხის შეფასებისას, სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებზე დაყრდნობით, თუმცა, მიუთითა ევროპის საბჭოს კონვენციაზე „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“;[6] პაციენტის მიერ ინფორმირებული თანხმობის საკითხზე მსჯელობისას, სასამართლომ ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, რომელიც შეეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ეროვნული სასამართლოს როლთან მიმართებით მტკიცებულებების და პაციენტის ინფორმირებულობის საკითხზე მსჯელობისას, სასამართლომ ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.[7]

სამართლებრივი საკითხი: დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ფაქტები: 2018 წლის 14 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მოსამართლე თამარ ალანიას მონაწილეობით, მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებაზე მიღებული ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა იმ საფუძვლით, რომ მან უხეშად დაარღვია შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები, კერძოდ, დასაცავ საგუშაგოზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ეძინა. დამსაქმებელი უთითებდა, რომ შეიქმნა დაწესებულებისთვის ქონებრივი ზიანის წარმოშობის საშიშროება.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რადგან ის ადმინისტრაციულ ორგანოში მუშაობდა. მოსარჩელე ითხოვდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას. კოლეგიამ, განსჯადობაზე მითითებით, საქმე განსახილველად გადაუგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეცვალა და სააპელაციო საჩივარი სრულად დააკმაყოფილა.

---

2 **სასამართლომ ამ ნაწილში მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში V.C. v. Slovakia (Application no. 18968/07) 2011.**

3 **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-260-244-11.**

4 **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-28-25-2017.**

5 **საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე Nას-912-874-2014 და 2011 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-762-818-2011.**

6 **„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (1997).**

7 Garcia Ruiz v. Spain [GC]; Application no. 30544/96; January 1999; STRASBOURG; P. 28.
AFFAIRE FARANGE S.A. c. FRANCE; Application no. 77575/01; July 2006; STRASBOURG;
CASE OF V.C. v. SLOVAKIA; Application no. 18968/07; November 2011; STRASBOURG.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ეხება სასამართლოს საგნობრივი განსჯადობის სწორად გადაწყვეტას, ასევე შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლის კანონიერებასა და მტკიცების ტვირთის განაწილებას შრომით დავებში.

გადაწყვეტილება:

- მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ საქმე განსჯადობით ეკუთვნოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავათა კატეგორიას. პალატამ დავა სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას მიაკუთვნა და განმარტა: **„განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა დამსაქმებლის ფუნქციებს, არამედ მოსარჩელის (აპელანტისა) და ორგანოს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის შინაარსს“.**
- სააპელაციო სასამართლო მსჯელობს შრომის უფლების შინაარსზე საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებზე დაყრდნობით.[8] დამატებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან მიმართებით, პალატა უთითებს ე.წ. გონივრული საფუძვლის პრინციპზე, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიღებული კონვენციით დაადგინა.[9]
- სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დათხოვნის საფუძვლის მნიშვნელობაზე პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას. Ultima Ratio-ს პრინციპზე მითითებით, სასამართლომ დაადგინა: დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად ჩაითვლება, თუ სახეზეა ისეთი მძიმე დარღვევა, რომ სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება არამიზანშეწონილია. ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ, პალატამ დაადგინა, რომ აპელანტს უხეში დარღვევები არ ჰქონია.
- მტკიცების ტვირთის განაწილებისას, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას[10] და მიუთითა სპეციალურ სტანდარტზე, რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, დაადასტუროს კანონიერი და საკმარისი საფუძველი დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის. **ამით დამსაქმებელს დაეკისრა ვალდებულება ემტკიცებინა, გააცნო თუ არა სრულყოფილად მან მის დასაქმებულს ინფორმაცია სამუშაო საათებთან დაკავშირებით. სასამართლოს მითითებით, მან ეს ვერ შეძლო.**

სამართლებრივი საკითხი: ნების ნამდვილობა ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარჩენილი ნაწილის გადახდის ვალდებულება.

ფაქტები: 2019 წლის 31 იანვარს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, თამარ ალანიას თავმჯდომარეობით, მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, რომელიც ეხებოდა თანხის ანაზღაურების ვალდებულებას.

---

[8] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (N2/4-24), – „ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში და თავად აირჩიოს საქმიანობის სფერო“;**
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/2-389; – „შრომის თავისუფლებაში იგულისხმება სახელმწიფოს (მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელისუფლებო ძალაუფლების ერთ-ერთი შტოს – სასამართლო ხელისუფლების) ვალდებულება, დაიცვას მოქალაქეთა შრომითი უფლებები“.

[9] **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1982 წელს მიღებული N158 კონვენცია „შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“: მე-4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, თუ არ არსებობს ასეთი შეწყვეტის კანონიერი მიზეზი, დაკავშირებული დასაქმებულის უნართან ან ქცევასთან, ან რომელიც ეფუძნება საწარმოს, დაწესებულების ან სამსახურის საოპერაციო მოთხოვნებს.**

[10] **2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-483-457-2015.**

სამოქალაქო დავის საგანი გახდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი ვალდებულების გადახდა. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, მოპასუხეებმა შეწყვიტეს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ერთ-ერთმა მოპასუხემ დავისას მიუთითა, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულება იძულებით დაადებინა, ხოლო მეორე მოპასუხე მიუთითებდა, რომ ხელშეკრულების დადებისას ის მოატყუეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისთვის თანხის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ მხარეს დარჩენილი ვალდებულების გადახდა დააკისრა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლომ იმსჯელა ნების გამოვლენის ნამდვილობის შეფასების სტანდარტზე.

გადაწყვეტილება:

- სასამართლომ სწორად განსაზღვრა მტკიცების ტვირთის საკითხი. მან მიუთითა, რომ მხარემ ვერ წარმოადგინა მუქარის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დასაბუთება იმ ფაქტმაც გაამყარა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მოპასუხე მხარეები დაეთანხმნენ დადებული გარიგების შინაარსს, კერძოდ, ისინი სტაბილურად ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას გარკვეული დროის განმავლობაში.
- სასამართლომ შეაფასა ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, რომელიც აცხადებდა, რომ ქართული მისი მშობლიური ენა არ იყო და, შესაბამისად, არ შეეძლო ხელშეკრულების შინაარსის გაგება. ამდენად, მოტყუებით მოაწერა მას ხელი. გადაწყვეტილებაში აღნიშნული საკითხი დასაბუთებულია ნების ნოტარიუსთან გამოვლენის დროს მოქმედ პრეზუმფციაზე მითითებით. კერძოდ, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ მოწმდება ნების გამომვლენი პირის ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების ნამდვილობა. ამასთან, სასამართლო უთითებს, რომ „დამოწმებული ხელშეკრულება ერთგვერდიანია. დაბეჭდილია საკმაოდ დიდი ზომის ასოებით და მისი უმეტესი ნაწილი ციფრებისგან შედგება". სასამართლო განმარტავს: **„ამ პირობებში, ენის ცოდნის გარეშე გარიგებაზე ხელისმოწერა მოპასუხის სამოქალაქო დაუდევრობაა, რაც მისი სამართლებრივი პასუხიმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გახდეს".**
- სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: **„სამოქალაქო მართლწესრიგის გამართულ ფუნქციონირებასა და კერძო პირებს შორის ნების ავტონომიურობის პრინციპს საფრთხე შეექმნება და [...] ყველა არაკეთილსინდისიერ მოვალეს უფლება მიეცემა, ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით, ენის არცოდნაზე ან/და მსგავს გარემოებებზე მიუთითოს, რაც, რა თქმა უნდა, სცდება სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს და გაზიარებული ვერ იქნება".**

1.2. გახმაურებული საქმეები

სამართლებრივი საკითხი: არასრულწლოვნის მიერ არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

ფაქტები: 2007 წლის 7 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, მოსამართლე თამარ ალანიას თავმჯდომარეობით, განიხილა არასრულწლოვან გვანცა ყუფარაძის სისხლის სამართლის საქმე, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, რომელიც დამნაშავემ ჩაიდინა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ხულიგნური ქვენაგრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკით.

გვანცა ყუფარაძე 2006 წლის ნოემბერში დააკავეს თანაკლასელის მკვლელობის მცდელობისთვის. 2007 წლის ივნისში პირველი ინსტანციის სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, აქედან ნახევარი ჩაეთვალა პირობითად. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

საქმის მნიშვნელობა: საქმე იყო რეზონანსული, ვინაიდან ეხებოდა არასრულწლოვნის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულს.

გადაწყვეტილება:

- განაჩენი არის მშრალი, საქმის მასალების წარმოჩენის გარეშე. მხოლოდ განაჩენიდან შეუძლებელია არათუ დასაბუთების, არამედ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გაგება. განაჩენის სამოტივაციო ნაწილი მხოლოდ 2 გვერდისგან შედგება (მთლიანობაში, განაჩენი არის 6 გვერდი).

შენიშვნა: საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, განაჩენი უნდა იყოს ნათელი და აგებული ლოგიკური სტრუქტურით, მსჯელობა საკმარისად განვცრობილი, რათა ობიექტურმა პირმა შეძლოს საქმის არსის გაგება. მსჯელობა საკმარისი უნდა იყოს, რათა წაგებულმა მხარემ დაინახოს, რომ მისი პოზიციის არსებითი ასპექტები სრულად არის გათვალისწინებული.[11]

- განაჩენში საერთოდ არ არის მსჯელობა იმაზე, თუ რა მტკიცებულებები წარმოადგინა ბრალდების მხარემ, რა ინფორმაციას ატარებს თითოეული მათგანი, რამდენად არის თითოეული დასაშვები, უტყუარი და რელევანტური.
- რჩება შთაბეჭდილება, რომ განაჩენი მიმართულია დაცვის მხარის მტკიცებულებათა გაბათილებისკენ და არა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა უტყუარობის/დამაჯერებლობლობის შემოწმებისკენ.
- განაჩენში არ არის მსჯელობა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა განზრახვის სახე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), დანაშაულის მოტივი და მიზანი და სხვა.
- სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არ არის მითითება იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ემყარება **უტყუარ მტკიცებულებებს; არც იმაზე, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით** დადგენილია მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. სანაცვლოდ მითითებულია, რომ საქალაქო სასამართლოს **„განაჩენში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად“**.
- საქმეში არსებულ მტკიცებულებებს შორის არსებობდა არსებითი წინააღმდეგობები, ასევე არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა – ეს ხარვეზები სასამართლოს განხილვის შედეგად არ აღმოფხვრილა. სასამართლომ უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება ისე, რომ თავისი ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი დამაჯერებლად არ დაუსაბუთებია (მაგ. მოწმეთა ჩვენებები და საექსპერტო დასკვნები, რომლებიც ყუფარაძის უდანაშაულობას ადასტურებენ, სასამართლომ არ გაიზიარა, ხოლო იმ ადამიანთა ჩვენებები, რომლებიც ფაქტის თვითმხილველები არ ყოფილან, თუმცა, ყუფარაძის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება, სასამართლომ გაითვალისწინა).
- სასამართლომ განაჩენში არ მიუთითა და ასახა ის საკითხები, რაც მხარეებმა პროცესზე წამოჭრეს და შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა საქმის საბოლოო შედეგზე. განაჩენში არ ჩანს, რა მნიშვნელოვანი შუამდგომლობები დააყენეს მხარეებმა და რა პოზიცია გაიზიარა სასამართლომ. მაგალითად, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოსგან ითხოვდა **შემთხვევის ადგილის დათ-**

---

[11] **სახელმძღვანელო წინადადებები, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე (2015).**

ვალიერებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას. ეს სასამართლოს დაეხმარებოდა დაზარალებულის ჩვენების სისწორის დადგენაში, რაზეც, როგორც საქმის მასალებიდანვე ირკვევა, **დაცვის მხარეს უარი ეთქვა**.

შენიშვნა: საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს. ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

კანონმდებლობის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად სცნო, ასევე მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი.

- სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა სასჯელის დამძიმებასთან დაკავშირებით. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ არ იმსჯელა სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობაზე, იმის გათვალსწინებით, რომ საქმე ეხებოდა არასწრულწლოვანს. ამასთან, იმ დროისათვის საქართველოში არ არსებობდა ქალ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა აღმზრდებლობითი (საპატიმრო) დაწესებულება. სასამართლომ არ იმსჯელა, როგორ აისახებოდა აღნიშნული მოცემულობა არასრულწლოვნის უფლებებზე, მათ შორის, მისი რესოციალიზაციის ინტერესზე.

შენიშვნა: საქმის განხილვის მომენტისათვის, საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო იყო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989). კონვენციით დადგენილია სახელმწიფოს შემდეგი ვალდებულებები:

- ნებისმიერი მოქმედება ბავშვების მიმართ, იმის მიუხედავად, მიმართავს მას .... სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესად უნდა ემსახურებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.
- ამასთან, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ არცერთმა ბავშვმა არ განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში.

შენიშვნა: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ეს ნიშნავს იმას, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე მაღლა მდგომი აქტია.

შენიშვნა / დამატებითი ინფორმაცია: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (N30743/09 (2017) მიუთითა, რომ „სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება, რომლის საფუძველზეც აპლიკანტის სასარგებლო ექსპერტიზის ორი ალტერნატიული დასკვნა არ დაუშვეს, შეიძლება კრიტიკის საგანი გახდეს. განსაკუთრებით კი ის ნაწილი, რომელშიც მოსამართლის აზრით, სადავო დასკვნები არ შეიცავდნენ შესაბამის ინფორმაციას იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულებები საპირისპიროს მიუთითებენ“. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ დასძინა, რომ აღნიშნულ მტკიცებულებათა გაუზიარებლობა არ იყო იმ ხარისხის ქმედება, რაც სასამართლოს განხილვის სამართლიანობაზე, ერთიანად აღებული, გავლენას მოახდენდა.[12]

[12] CASE OF KUPARADZE v. GEORGIA; Application no. 30743/09; 21 September 2017.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იგი არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ შეისწავლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ სანდოდ მიიჩნევს ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტებს და ამ ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს, თუ აღნიშნული არ არღვევს კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებს და მოსამართლის პოზიცია არ არის ცალსახად არაგონივრული ან თვითნებური. ევროპული სასამართლოს ფუნქცია არ არის ეროვნული სასამართლოების მიღებული გადაწყვეტილების სისწორის გადახედვა ეროვნულ სამართალთან მიმართებით, არც ეროვნული სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება. ის არ სწავლობს, რამდენად სწორია პირის მსჯავრდება, რამდენად სწორია გამოყენებული სასჯელი და სხვა. მისი ფუნქციაა, შეაფასოს, იყო თუ არა სამართლიანი სასამართლო პროცესი მთლიანობაში.[13]

ე.წ. „მუხროვანის ამბოხის“ საქმე

მოსამართლე თამარ ალანიას თავმჯდომარეობით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ასევე განიხილა 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის ჯავშან-სატანკო ბატალიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული საქმე (ე.წ. „მუხროვანის ამბოხი“). პირველი ინსტანციის სამართლომ რეინჯერთა ბატალიონის ყოფილ მეთაურს, ლევან ამირიძეს 28 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ნაცვლად ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი 29 წლისა; კობა ოთანაძეს – 29 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მუხროვანში განთავსებული ჯავშან-სატანკო ბატალიონის ყოფილ მეთაურს, შოთა (მამუკა) გორგიაშვილს - 19 წელი, როგორც ამას პროკურატურა ითხოვდა.[14]

სააპელაციო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა იმ პირთა საჩივრები, რომლებმაც განაჩენი გაასაჩივრეს. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი, რომელიც შვიდი სამოქალაქო პირისთვის ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლას მოითხოვდა. კოლეგიამ ძირითად ნაწილში ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.[15]

აღნიშნული საქმე იმთავითვე მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა. არსებობდა ეჭვები ფაქტების არასათანადო გამოძიებასთან დაკავშირებით. ა(ა)იპ **„ადამიანის უფლებათა ცენტრის“** ანგარიშში გადმოცემულია მომხდარის ორი სხვადასხვა ვერსია: ხელისუფლების გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია და საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ხელისუფლებამ თავად დადგა ამბოხი მუხროვანში სამხედრო განაყოფებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით, რადგან შეიარაღებულ ძალებში უკვე სერიოზულ შიდა პრობლემებს აწყდებოდა, განსაკუთრებით, აგვისტოს ომის შემდეგ. მეორე ვერსიით, მუხროვანის სამხედრო ბაზაზე ამბოხი არ მომხდარა; ეს იყო დაუმორჩილებლობა ხელისუფლებისადმი, რომელიც სამხედროებისგან აქციის მონაწილეების დარბევას მოითხოვდა.[16]

2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მუხროვანის ამბოხის საქმეზე მსჯავრდებული 20 პირი პოლიტიკურ პატიმრად ცნო.[17]

---

13 იხ. მაგ. Schenk v Switzerland, 10862/84, 12 July 1988; Ben Emmerson, Andrew Ashworth and Alison Macdonald (eds), Human Rights and Criminal Justice (3rd edn; Sweet & Maxwell 2012) 129, 134, 645; Andreas Føllesdal, Birgit Peters and Geir Ulfstein, 'Introduction', in Andreas Føllesdal, Birgit Peters and Geir Ulfstein (eds), Constituting Europe, The European Court of Human Rights in a National, European and Global Context (Cambridge University Press 2013), 15-7.

14 https://old.civil.ge/geo/article.php?id=22210

15 https://old.civil.ge/geo/article.php?id=23264

16 ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში (2009); http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=7728&lang=geo

17 საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბერის დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილთა შესახებ.

შეფასებულ გადაწყვეტილებებში იკვეთება, რომ კანდიდატი თამარ ალანია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებში აქტიურად იყენებს როგორც საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

2. აკადემიური საქმიანობა / პუბლიკაციები

კანდიდატი თამარ ალანია ორი პუბლიკაციის თანაავტორია: არასრულწლოვანთა კოდექსის კომენტარები და „სასამართლო ლიდერობა და მენეჯმენტი". აღნიშნული პუბლიკაციები კანდიდატმა თავად მიუთითა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილ სააპლიკაციო განაცხადში, თუმცა, მათი მოძიება ღია წყაროების მეშვეობით ვერ მოხერხდა.

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება არ გამოყენებულა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. საქმიანობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

- მოსამართლე თამარ ალანიას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა მას შემდეგ, რაც მან სასამართლო სისტემაში არსებულ სისტემურ პრობლემებზე საჯაროდ ისაუბრა.[1]
- კანდიდატ თამარ ალანიას საბჭოს წევრობის დროს დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლეთა საგამოცდო ტესტები გამჟღავნდა, სავარაუდოდ, საბჭოდან.[2] აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო აწარმოებდა შიდა მოკვლევას, თუმცა, შედეგები უცნობია.
- მოსამართლე თამარ ალანიას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ნათია გუჯაბიძე საცხოვრებელ ბინას საკუთარი დედისგან ქირაობდა და დაქირავებისათვის საჭირო ხარჯები წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა. იუსტიციის

[1] მოვლენების ქრონოლოგია მამუკა ახვლედიანის პირველი განცხადებიდან მის გათავისუფლებამდე, იხ. http://bit.ly/2ST69iw

[2] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ანგარიში: „სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2012-2016", გვ. 16. იხ. https://bit.ly/2JYEcD7

უმაღლესმა საბჭომ მაშინ განაცხადა, რომ ინფორმაცია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის მიერ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა,[3] თუმცა, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მიიჩნევდა, რომ აღნიშნულ საკითხზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა დაეწყო დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო პროკურატურას – გამოძიება.[4] საზოგადოებისთვის უცნობია, მოჰყვა თუ არა ამ ფაქტს რაიმე რეაგირება.

- მოსამართლე თამარ ალანიას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისას აქტიურად გამოიყენებოდა მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანის და დაწინაურების მექანიზმი. სწორედ ამ პერიოდში 7 მოსამართლე უკონკურსოდ დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.[5]
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში, თამარ ალანიამ ისე მიიღო მონაწილეობა მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების – კენჭისყრის პროცესში, რომ საერთოდ არ დასწრებია მათთან გასაუბრებას. არამოსამართლე წევრმა სხდომაზე აღნიშნული საკითხი დააყენა, მაგრამ საბჭოს შესაბამისი ზომები არ მიუღია.[6]

[3] **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, იხ. http://bit.ly/2ZjPib7**
[4] **საია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება, იხ. http://bit.ly/2Yjwf RN**
[5] **ცნობილია დაწინაურებულ მოსამართლეთა ვინაობა, იხ. https://bit.ly/314i6oo**
[6] **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #3, გვ. 24, იხ. http://bit.ly/2Z9ZHsU**

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- პროკურატურაში 7-წლიანი მუშაობის შემდეგ (1999-2006), კანდიდატი თამარ ალანია დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ (2006-2016).
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 10-წლიანი სამოსამართლეო ვადის ამოწურვის შემდეგ, 2016 წლის 25 ივლისს, თამარ ალანია 3-წლიანი ვადით დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ (დანიშვნისას კანდიდატი თამარ ალანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო), ხოლო 2017 წლის 20 ოქტომბრიდან უვადოდ განწესდა იმავე პოზიციაზე.
- 2017 წელს მოსამართლე თამარ ალანიამ ორჯერ მიიღო მონაწილეობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატების წარსადგენ კონკურსში, თუმცა, შიდა კონკურსში მიღებული ქულებით იგი ვერ მოხვდა საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატებს შორის,[1] რომლებიც საქართველომ ევროპის საბჭოს წარუდგინა.
- 2013-2017 წლებში თამარ ალანია იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2. მიღებული ჯილდო/სტიპენდია

- თამარ ალანიას არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

[1] **სტრასბურგის მოსამართლეობის მსურველი ხუთეული – სამინისტრო ქულებს აქვეყნებს, იხ. https://bit.ly/2LOXiOe**

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- მოსამართლე თამარ ალანია ნასამართლევი არ ყოფილა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.
- სასამართლო დავებში კანდიდატი თამარ ალანია მხარედ არ მონაწილეობდა.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე თამარ ალანია არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- სხვადასხვა კვლევა თუ ანგარიში ხშირად მიუთითებს სასამართლოში კლანურ მმართველობაზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 43% ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემაში კლანი არსებობს.[1] სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტში საუბარია კლანის წევრების, მისი ლიდერების და კლანური მმართველობის შესახებ.[2] „კავკასია TV“-ზე გასული სიუჟეტი ასევე მიუთითებს სასამართლოში არსებულ კლანზე.[3] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ თამარ ალანიას კლანის ერთ-ერთ გავლენიან წევრად მოიაზრებს.[4]
- 2013 წლის ივნისში გამართულ მოსამართლეთა კონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად აირჩიეს ლევან მურუსიძე. კენჭისყრის დაწყების წინ, საბჭოს მდივნობის ოთხმა კანდიდატმა – მოსამართლეებმა თამარ ალანიამ, ილონა თოდუამ, პაატა სილაგაძემ და გიორგი შავლიაშვილმა – საკუთარი კანდიდატურები ლევან მურუსიძის სასარგებლოდ მოხსნეს.[5]
- 2018 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ყოველგვარი ფორმალური პროცედურების გვერდის ავლით, პარლამენტს წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 10 კანდიდატი, რომელთა შორის იყო მოსამართლე თამარ ალანიაც.[6]
- თამარ ალანიას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში, საბჭომ მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის (სამწლიანი ვადით) და მიხეილ ჩინჩალაძის (უვადოდ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეებად განწესებას, ასევე, მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას.
- 2015 წლის დეკემბერში ლევან მურუსიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოში დანიშვნის შემდეგ, მაშინდელმა საბჭოს წევრმა თამარ ალანიამ განაცხადა, რომ მისი არჩევანი არის ლევან მურუსიძე, ადამიანი, რომელიც დამოუკიდებელ სასამართლოს ხედავს.[7]
- კანდიდატი თამარ ალანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო იმ დროს, როდესაც საბჭოს წევრები იყვნენ ლევან მურუსიძე (საბჭოს მდივანი), მერაბ გაბინაშვილი, შოთა გეწაძე, ილონა თოდუა, პაატა სილაგაძე, ლევან თევზაძე – პირები, რომლებიც მიიჩნევიან სასამართლოში არსებული კლანის წევრებად.

---

1 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევა, იხ. http://bit.ly/31oJw8A
2 ჩინჩალაძის კლანი – სასამართლო რეფორმის კრახი, იხ. http://bit.ly/2YWYa9D
3 კლანი სასამართლო სისტემაში – არასამთავრობოების სქემა, იხ. http://bit.ly/2Ttes5b
4 კოალიციის მიმართვა საქართველოს პარლამენტს, იხ. https://bit.ly/2Jc8ow5
5 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #2, გვ. 28, იხ. http://bit.ly/2KBincY
6 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატები დაასახელა, იხ. http://bit.ly/2M2HF5S
7 თამარ ალანია: ჩემი არჩევანია მურუსიძე, ადამიანი, ვინც დამოუკიდებელ სასამართლოს ხედავს, იხ. https://bit.ly/2Zj27Cp

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

თამარ ალანია რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ Linkedin-ზე, თუმცა, მის გვერდზე არ იძებნება რაიმე სახის საჯარო აქტივობა. თამარ ალანიამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გარკვეული პერიოდის წინ გააუქმა პერსონალური გვერდი სოციალურ ქსელ Facebook-ზე.

2. საჯარო განცხადებები სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით

2.1. პოზიცია მოსამართლეებზე განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით

2016 წლის 3 თებერვალს თამარ ალანიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის სასამართლო დავის კონტექსტში მოსამართლეებზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით აღნიშნა:

> **ზეწოლის განხორციელება შესაძლებელია ყველა პერიოდში. ეს შესაძლებელი იყო წარსულშიც, ახლაც და მომავალშიც შეიძლება არსებობდეს. საუბარია იმაზე, როგორ უმკლავდებიან მოსამართლეები ამ ტიპის ზეწოლებს. დღეს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას მე პირადად არ განვიცდი".[1] ამ ნაწილში თამარ ალანიამ დამატებით აღნიშნა: „მე ინფორმაცია არ მაქვს, არიან თუ არა სხვა მოსამართლეები ზეწოლის ქვეშ და ვერ ვისაუბრებ ამაზე. მე გამოვრიცხავ ზეწოლას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზეც".[2]**

2.2. განცხადებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით

2017 წლის 24 ივნისს თამარ ალანიამ განცხადება გააკეთა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით და აღნიშნა:

> **გავლენებზე საუბარი დღევანდელი საბჭოს პირობებში არის გადაჭარბებული, ზედმეტი და ყურით მოთრეული იმიტომ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება, რომელიც მაამებელი იქნებოდა რომელიმე ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის მიმართ, იქნებოდა ეს წარსული თუ ახლანდელი, არ ყოფილა".[3]**

თამარ ალანიას 2017 წლის 26 აგვისტოს განცხადებით,

---

1 „არეულობა სასამართლოში", 2016 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://rustavi2.ge/ka/video/12612

2 იქვე.

3 „თამარ ალანია: დღევანდელი უმაღლესი საბჭოს პირობებში გავლენებზე საუბარი გადაჭარბებულია", 2017 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია – https://expressnews.com.ge/?id

> **ადამიანი თუ არ მუშაობს, კრიტიკაც არ არის. ბუნებრივია, ხარვეზები ყოველთვის არსებობს და უხარვეზო არ არის არათუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, არამედ ევროპის არცერთი სასამართლო და თვით ამერიკის სასამართლოებიც და შესაბამისი სტრუქტურები".[4]**

2.3.საჯარო განცხადებები ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით

2015 წლის 25 თებერვალს თამარ ალანიამ ჟურნალ „ლიბერალთან" საუბრისას აღნიშნა:

> **საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ყველა ის გადაწყვეტილება რომელსაც იღებს სასამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მიიღება დამოუკიდებლად".[5]**

მის განცხადებაში საუბარია ლევან მურუსიძის შესახებაც. კერძოდ, თამარ ალანიამ აღნიშნა:

> **ჩემი არჩევანი არის მურუსიძე, ადამიანი, რომელიც ხედავს დამოუკიდებელ სასამართლოს. სასამართლო, რომელიც იყო 2012 წლამდე, არის გაცილებით სხვანაირი დღეს. არის ბევრად დამოუკიდებელი და, შესაბამისად, მას მერე, რაც ლევანი გახდა მდივანი, ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხმა აიწია".[6]**

2.4. პოზიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ე.წ. 10-კაციანი სიის წარდგენასთან დაკავშირებით

2019 წლის 21 იანვარს თამარ ალანიამ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების სიის წარდგენასთან დაკავშირებით განაცხადა:

> **პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების წარდგენისას მსგავსი დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან რატომღაც არ ყოფილა. ახლა შეიქმნა აჟიოტაჟი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ ნაბიჯთან დაკავშირებით, რომელიც რეალურად საკონსტიტუციო ჩანაწერმა განაპირობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოც აბსოლუტურად ლეგიტიმურად მოქმედებდა, როცა ეს განახორციელა. უბრალოდ, ის პროცესი, რომელიც შემდგომში ამ ყველაფერს მოჰყვა, პირველ რიგში, აზიანებს სასამართლოს. ჩვენ ვართ მოქმედი მოსამართლეები და, ძირითადად, ვართ უვადოდ დანიშნულები. ჩვენთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი და ღირებულია სასამართლოს ცხოვრების წესი და რიტმი, რომელიც არ უნდა შეფერხდეს. საზოგადოებას მართლმსაჯულება მშვიდ პროცესში უნდა მიეწოდოს, რაც ამ აჟიოტაჟის ფონზე ნამდვილად ვერ ხორციელდებოდა და აზიანებდა მართლმსაჯულების სისტემას".[7]**

გარდა ამისა, თამარ ალანიამ უპასუხა არასამთავრობო სექტორის და საბჭოს არამოსამართლე წევრების განცხადებებს, რომ სასამართლოს მართავს ე.წ. კლანი: საჭიროა მეტი კონკრეტიკა, ვინაიდან

> **საინტერესოა რას გულისხმობენ ე.წ. კლანში?!".[8]**

---

4 „მოსამართლე თამარ ალანია სტრასბურგის მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში განმეორებით მონაწილეობს", 2017 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია – https://imedinews.ge/ge/

5 „თამარ ალანია: ჩემი არჩევანია მურუსიძე, ადამიანი, ვინც დამოუკიდებელ სასამართლოს ხედავს", 2015 წლის 25 დეკემბერი, ხელმისაწვდომია – http://liberali.ge/news/view/20126/tamar

6 იქვე.

7 „თამარ ალანია: ჩვენი დღევანდელი განცხადების მიზეზი გახლდათ ის არაჯანსაღი სიტუაცია და აჟიოტაჟი, რომელიც მოსამართლეების სიასთან დაკავშირებით შეიქმნა", 2019 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია http://www.info9.ge/samarthali/

8 იქვე.

კანდიდატმა ასევე აღნიშნა:

> **მე პირდაპირ ვიტყოდი, რომ ეს არის ბრალდება. მართალია, ჩვენ ამას მოთმინებით ვუყურებთ, მაგრამ მოთმინებასაც ნამდვილად აქვს საზღვარი, უნდა იყოს დასაბუთებული. სხვა შემთხვევაში ეს არის არასერიოზული განცხადება".[9]**

2.5. პოზიცია მამუკა ახვლედიანის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით

მამუკა ახვლედიანის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მოსამართლე თამარ ალანიამ აღნიშნა, რომ

> **მამუკა ახვლედიანი საუბრობდა სხვადასხვა საქმეზე, სხვადასხვა ურთიერთობაზე, რომლის განხორციელებაც მას სურდა, რაც გამოიხატებოდა გარკვეული ზემოქმედების მცდელობაში".[10]**

ასევე მიუთითა:

> **კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მისი ადმინისტრაციული ფუნქციებიდან გადაყენება იყო გონივრული და სწორად ნაკარნახევი მსგავსი ინფორმაციებით, რომლებიც გააჩნდა საბჭოს. მნიშვნელოვანია, სასამართლო და თითოეული მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი და არ მოხდეს სასამართლოს დისკრედიტაცია".[11]**

3. თამარ ალანიას საჯარო განცხადებები სხვა საკითხებთან დაკავშირებით

3.1. თამარ ალანიას საჯარო განცხადებები ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის საქმესთან დაკავშირებით

3.1.1. პოზიცია ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის საქმის განმხილველი მოსამართლეების მიერ პროკურატურის მიმართვის ფაქტთან დაკავშირებით

მოსამართლე თამარ ალანია გამოეხმაურა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის საქმის განმხილველი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართვას პროკურატურისადმი.[12] კერძოდ, მან განაცხადა:

> **როგორც ჩანს, მოსამართლეებზე ისეთ ზეწოლაზეა საუბარი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია".[13]**

ალანიამ დამატებით ასევე აღნიშნა, რომ

---

9 იქვე.

10 „თამარ ალანია: როგორც რიგითი მოსამართლე, შეურაცხყოფილი ვარ", 2016 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია https://ipress.ge/new/thamar

11 იქვე.

12 „რუსთავი 2"-ის საქმის განმხილველმა მოსამართლეებმა – ბესარიონ ალავიძემ და პაატა ქათამაძემ მათ საქმიანობაში უხეშად ჩარევის შესაძლო ფაქტის გამოძიების მოთხოვნით პროკურატურას მიმართეს, ხელმისაწვდომია https://www.interpressnews.ge/ka/

13 თამარ ალანია: „როგორც ჩანს, მოსამართლეებზე ისეთ ზეწოლაზეა საუბარი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია", 2017 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია – http://kvira.ge/308953

იუსტიციის საბჭოს არცერთი წევრი, მათ შორის, მოსამართლე წევრებიც კი არ იყვნენ ინფორმირებულნი ამ ფაქტის თაობაზე. იუსტიციის საბჭოს მდივანმაც არაერთხელ განაცხადა, რომ ამის თაობაზე დღეს გახდა ცნობილი მისთვის. როგორც მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციიდან იკვეთება, აქ საუბარია არა მხოლოდ მარტივ კომუნიკაციაზე მოსამართლეებთან, არამედ მოსამართლეებზე ისეთ ზეწოლაზე, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს პირები მოსამართლეები არიან და მათ გადაწყვიტეს, რომ მიემართათ პირდაპირ პროკურატურისთვის. რატომ იხელმძღვანელეს მათ ასე და რატომ არ ჩააყენეს უმაღლესი საბჭოს არცერთი წევრი საქმის კურსში, არ ვიცი. ასეთ ფაქტს არასდროს ჰქონია ადგილი და სასურველი იქნებოდა, რომ საბჭოს ყველა წევრს ჰქონოდა ინფორმაცია და, რა თქმა უნდა, ჩვენც ამის თაობაზე მივიღებდით ზომებს".[14]

3.1.2. პოზიცია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ „რუსთავი 2-ის" საქმეზე გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტის მიერ „რუსთავი 2-ის" საქმეზე გაკეთებულ განცხადებასთან[15] დაკავშირებით მოსამართლეთა მხრიდან დაფიქსირებულ პოზიციაზე, კანდიდატმა აღნიშნა:

არავინ არ დაპირისპირებია პრეზიდენტს. მოსამართლეები უპირისპირდებიან ყველა იმ განცხადებას, რომლითაც შეიბღალება სასამართლოს დამოუკიდებლობა. ბოლო პერიოდში, მისი განცხადებები სჭარბობდა ამ საკითხთან მიმართებით და აქ რაიმე გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან სასამართლომ ხმა ამოიღო. ეს სასამართლო ნამდვილად განსხვავდება იმ სასამართლოსგან, რომელიც იყო წარსულში, რაზეც სტატისტიკაც მოწმობს".[16]

3. კანდიდატ თამარ ალანიას გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

იუსტიციის საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„მოსამართლემ რომ დაწეროს დღეს სტატუსი „არა ოკუპაციას!" ან დავუშვათ „რუსეთი ოკუპანტია", იქნება ეს ეთიკის დარღვევა"?**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

ეს პრობლემაა, მე ვფიქრობ. ოკუპაციასთან დაკავშირებით ამ ქვეყნის მოქალაქეებს გვაქვს ჩვენი პატრიოტული გრძნობები, რაც ცხადია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დადგა განსახილველი საქმე და არ არის გამორიცხული რომ ხვალ დადგეს, იგივე ჯაშუშობასთან დაკავშირებით საქმე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საქმე და თავშივე გაქვს გამოთქმული პოზიცია, არ ვიცი ეს რამდენად სწორი იქნება. მე ვფიქრობ, აჯობებს მოსამართლემ თავი შეიკავოს ასეთი ღია ემოციური პოზიციებისგან".

იუსტიციის საბჭოს წევრის, ირაკლი ბონდარენკოს შეკითხვა კანდიდატს: **„რას ფიქრობთ ლგბტ თემატიკასთან დაკავშირებით?"**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

---

[14] იქვე.

[15] პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „რუსთავი 2"-ის საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში განმხილველ მოსამართლეს, თამაზ ურთმელიძეს მოუწოდა, არ მიეღო ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია – https://www.myvideo.ge/v/2666353, 2015 წლის 22 ოქტომბერი.

[16] „არეულობა სასამართლოში", 2016 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://rustavi2.ge/ka/video/12612, 1:21:25.

ერთსქესიანი ადამიანები არსებობენ, უფრო სწორად, აქვთ ურთიერთობა, იყვნენ, არიან და ყოველთვის იქნებიან. ჩვენ მხოლოდ გვჭირდება მათთვის აღიარება, რომ ესენი არიან. კონსენსუსი ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით არ არსებობს."

იუსტიციის საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„დეკემბრის მოვლენებს [საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ე.წ. 10-კაციანი სიის წარდგენა პარლამენტისათვის] როგორ შეაფასებთ სასამართლოსთან მიმართებაში"?**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

არც საზოგადოებას არ ჰქონდა რაიმე განსხვავებული მოლოდინი და არც მე. შეიძლება ფორმატი იყო დაჩქარებული, თუმცა, ისტერიის დაწყება არ იყო საჭირო".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„2016 წლის დეკემბერში საბჭომ 3 წლიანი ვადით დანიშნა ლევან მურუსიძე. თქვენ იყავით საბჭოს წევრი და ასეთი განცხადება გააკეთეთ მედიაში, რომ „ჩემი არჩევანი არის ლევან მურუსიძე, ადამიანი, რომელიც ხედავს დამოუკიდებელ სასამართლოს და ახლა სასამართლო არის გაცილებით სხვანაირი და მას შემდეგ, რაც ლევანი გახდა მდივანი, სასამართლო ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხმა აიწია" – რატომ ფიქრობდით ასე"?**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

ახლაც ასე ვფიქრობ. ლევან მურუსიძის გარშემო აჟიოტაჟი დაიწყო მას მერე, როდესაც სასამართლო ძალიან სერიოზულ და განსხვავებულ აქტორად მოევლინა სახელმწიფოს. საბჭოს არსებობის შესახებ 2012 წლამდე არავინ არაფერი იცოდა. [...] როდესაც ბატონი ლევანი იყო საბჭოს წევრი, ძალიან გაიხსნა საბჭოს საქმიანობა. ეს ადამიანი იმ დროს იყო, როცა განსხვავებული პოზიციები ღიად ფიქსირდებოდა. [...]

სანდრო გირგვლიანის საქმეში ლევან მურუსიძის როლთან დაკავშირებით, კანდიდატმა მიუთითა:

არ არსებობს იურისტი, რომელიც იტყვის, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რა დროსაც ლევან მურუსიძემ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება, საქმის გამოძიებაში დაბრუნება იყო შესაძლებელი. პროკურატურა თუ არ მოითხოვდა, ეს ვერ მოხდებოდა".

ნაზი ჭანეზაშვილმა კანდიდატს ჰკითხა, **აღიქვამს თუ არა ის ლევან მურუსიძეს ლიდერად.**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

დიახ, ლიდერია. მეც ვარ ლიდერი. ბატონ ლევანს აქვს გამჭრიახი გონება, ჩვევები, რაც ბევრ კომპონენტს მოიცავს. როცა ხარ შენი სისტემის აქტივისტი, მაშინ ხარ ლიდერი".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„როგორ შეაფასებდით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დღეს არსებულ სიტუაციას?"**

აღნიშნულ შეკითხვაზე მოსამართლე თამარ ალანიამ უპასუხა, რომ სიტუაცია დაძაბულია. მან დამატებით აღნიშნა:

საბჭოს ის ფორმატი ცოტა განსხვავდება. სიტუაცია მეტად უფრო დაძაბულია, მედიაციისა და კომუნიკაციის პრობლემაა. თქვენ თქვენი პოზიცია გაქვთ. თქვენ და ქალბატონი ანა დოლიძე ხართ ხოლმე რაღაც სიტუაციაში, საზოგადოებასთანაც გაქვთ კომუნიკაცია. ასევე ინტერნეტქსელს აქტიურად იყენებთ. მგონი ცოტა შეურაცხყოფის რეჟიმშია და ეს არ მომწონს. რისი ბრალია, როგორია, ეს ჩემი საქმე არ არის. ერთი ის არის, რომ არ არის ლამაზი არანაირი თვალსაზრისით ეს და

ვფიქრობ, რომ აქ საჭიროა ახალი ნაბიჯი გადაიდგას, რათა თქვენც თქვათ აზრი და მოსამართლე წევრებმაც. ყველაზე მთავარი გამოსავალი უნდა იყოს, რომ სასამართლო ხელისუფლებას დავეხმაროთ გაჯანსაღებაში. თქვენი ხედვა შეიძლება იყოს რაღაც ერთი სახეობის, მოსამართლე წევრების კი სხვანაირი. რაღაცნაირად ეს უნდა დაახლოვდეს".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ აღნიშნეთ, რომ სახეზეა შეურაცხყოფა, რას გულისხმობთ?"**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

არ მომწონს დამოკიდებულება თქვენს მიმართ, როგორც ქალების მიმართ და ასევე არ მომწონს თქვენი დამოკიდებულებაც, რომ ხან ხართ, ხან არ ხართ ბულინგის მსხვერპლი. [...] მე მესმის საბჭოს წევრების გულისტკივილი და თქვენიც მესმის, როგორც ორი ქალბატონის, თუმცა, ფორმატი არ მომწონს".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„როგორ დაახასიათებდით იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც თქვენ მუშაობთ"?**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

მიხეილ ჩინჩალაძეს გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები. ერთადერთი კომუნიკაცია მაქვს შვეულებასთან დაკავშირებით, ან თანაშემწეების საჭიროებასთან დაკავშირებით. დიდი ხანია არ მინახავს. ახალი წლის შემდეგ მე იგი არ მინახავს. არ წარმოშობილა პრობლემური საკითხი, რომ მასთან შევსულიყავი. რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მივიდოდი".

იუსტიციის საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ განცხადებაში ახსენეთ, რომ სასამართლო, რომელიც იყო 2012 წლამდე, არის გაცილებით სხვანაირი დღეს, არის ბევრად დამოუკიდებელი. ხომ ვერ შეაფასებდით იმ სასამართლოს, სადაც თქვენ ადრეც მუშობდით, კერძოდ, 2006 წლიდან 2012 წლამდე? როგორ შეაფასებდით სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას 2006 წლიდან 2012 წლამდე"?**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა იყო მკაცრი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილება ბევრი არაფერი შესულა. ცვლილება ეხება სასჯელის შეკრებითობის პრინციპს, თუმცა, იგივე სასჯელი შეიძლება დღესაც მივიღოთ. კანონმდებლობა ერთადერთ ნაწილში შეიცვალა. პირობითი მსჯავრის გამოყენებაც, როგორც მახსოვს, მსგავსია. მართლმსაჯულება გახდა ბევრად გახსნილი. საბჭო გაიხსნა, აქტიური გახდა. მოსამართლეებს მოსაზრებების ღიად დაფიქსირების შესაძლებლობა მიეცათ. მოსამართლეებს მანამდე ამისი შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ასეთი ფორმატი არ არსებობდა."

ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ ბრძანეთ, რომ სასამართლო სისტემა იყო დახურული და გაიხსნა. როცა თქვენ იყავით სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, რაიმე საჯარო წყარო არსებობს, რომ თქვენ დააფიქსირეთ კრიტიკა იმ დახურული სისტემის მიმართ, სადაც თქვენ მუშაობდით"?**

მოსამართლე თამარ ალანიას პასუხი:

მე კონფერენციებშიც არ ვიღებდი მონაწილეობას. არ ვიცი, რას გულისხმობთ, თუმცა, ასეთი რამ არ დამიფიქსირებია".

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2019
მიწის ნაკვეთი
მცხეთის რაიონი
სოფ. თხინვალა
110 500 ₾
(1674 კვ.მ.)

2014
ავტომანქანა
LEXUS
27 680 ₾

2. ფინანსები



მოსამართლე თამარ ალანიას შემოსავალმა სამოსამართლო საქმიანობიდან 2010-2018 წლებში შეადგინა 590,756 ლარი. 2016 წელს, თამარ ალანიამ დედისგან მიიღო ფულადი საჩუქარი – 14,500 აშშ დოლარი. მოსამართლე თამარ ალანიას „თიბისი“ ბანკში სხვადასხვა ვალდებულებები უფიქსირდება. 2016 წელს მან აიღო 50,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი ბანკ „რესპუბლიკაში“, რომლის მომსახურებაც წლიურად 9 144 აშშ დოლარი ჯდება. ასევე, სახეზეა სამომხმარებლო სესხი 5000 ლარის ოდენობით, რომლის მომსახურებაშიც წლიურად 2 052 ლარს იხდის.

- **თამარ ალანიას მეუღლე დიდი ხანია რაც შპს „ქართოში“ მუშაობს. თუმცა, როგორც მოსამართლის დეკლარაციიდან ირკვევა, 2014 წელს, თავად თამარ ალანიაც შპს „ქართოში“ მენეჯერის პოზიციაზე იყო დასაქმებული და ამ პერიოდში 24,000 ლარი გამოიმუშავა. თუკი თამარ ალანიამ მოსამართლის ფუნქციების შესრულების პარალელურად, აღნიშნულ კომპანიაში ანაზღაურებადი საქმიანობა შეასრულა, მაშინ ეს ქმედება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 39-ე მუხლის დარღვევად უნდა ჩაითვალოს, რომლის თანახმადაც, მსგავსი ტიპის საქმიანობა მოსამართლის თანამდებობაზე მყოფი პირისთვის შეუთავსებელია.**
- **ხარვეზები გვხვდება სასესხო ვალდებულებების დეკლარაციაში ასახვის კუთხით. მოსამართლე თამარ ალანია ხშირად ერთი და იმავე სესხის დეკლარირებას ახდენს, ხოლო მომსახურების ხარჯები მითითებული არ აქვს.**

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ